42 (077)
თ- 677

სულხან – საბა ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თოდუა ლია

კონვერსიული სიტყვაწარმოების სწავლება ინგლისური ენის ფაკულტეტებზე

13.00.02 – სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი 2004

ნაშრომი შესრულებულია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: შოთა შათირიშვილი – პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათელა დოლონაძე – პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: მადონა მეგრელიშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნონა ფოცხვერაშვილი – პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის " 7 " ოქტომბერი 14 საათზე სულხან – საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიკის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს **(PD 13.00 C N 1)** სხდომაზე

მისამართი: (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია სულხან – საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

მისამართი: (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 32)

ავტორეფერატი დაიგზავნა " 7 " სექტემბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ც. ლოლაძე

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციამ, ინტერნეტის შემოჭრამ ჩვენს ყოველდღიურობაში მოითხოვა უცხოური ენების შესწავლისა და სწავლების პროცესთა ახლებურად გააზრება. ეს განსაკუთრებით ინგლისური ენის მომავალ სპეციალისტებს ეხებათ, რადგანაც დღევანდელობა მათ მზარდ მოთხოვნებს უყენებს. ენობრივი უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის სტუდენტს ძალზე მდიდარი ლექსიკური მარაგი ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, წლების მანძილზე გრამატიკასთან შედარებით მეორე პლანზე მყოფი ლექსიკა დღეს უკვე ჯეროვან ადგილს იკავებს ენის სწავლების პროცესში.

ჩვენში და უცხოეთში გამოცემული ბევრი სახელმძღვანელო შედგენილია ლექსიკის სწავლების განახლებულ თეორიულ კონცეფციებზე დაყრდნობით, ბევრი სიახლეა აგრეთვე უცხოური ენის ლექსიკის შეთვისების ფსიქოლოგიურ საფუძვლებში, კორექტირებულია ლინგვისტური ინფორმაციაც და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ დარგშიც წინსვლას თეორიულ პლანში თან არ სდევს შესაბამისი ნაბიჯები აუდიტორიასა და საკლასო ოთახში. მასწავლებლები ხშირად ისევ გატკეპნილი გზით სვლას ამჯობინებენ, ნაკლები ენთუზიაზმით ხვდებიან ნოვატორულ იდეებს, შედეგი კი ინგლისური ენის შემსწავლელ სტუდენტთა ლექსიკის სიღარიბეა.

უცხოური ენის მასწავლებელს ევალება მუდმივად ეძებოს სტუდენტთა ლექსიკის გამდიდრების გზები და საშუალებები, მოახდინოს ლექსიკის სისტემატიზაცია არა მარტო თემატური, არამედ ლინგვისტური ნიშნით, რათა გაუადვილოს მათ შესასწავლი ენის ლექსიკის გამდიდრება.

მიმდინარე გამოკვლევაც ინგლისური ენის ლექსიკის სწავლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - სიტყვაწარმოებას ეხება, კერძოდ, კონვერსიულ სიტყვაწარმოებას. კონვერსიის პროდუქტიულობა თანამედროვე ინგლისურში ეჭვს არ იწვევს, ეს ენობრივი მოვლენა აადვილებს აზრის სხარტად, მოკლედ და ზუსტად გამოხატვას და მნიშვნელოვნად ზრდის ენის შემსწავლელის ლექსიკურ მარაგს, ამასთან, ზოგავს მის დროსა და ენერგიას. მიუხედავად ამისა, უცხოელ და ქართველ მეთოდისტებსა და ენის მასწავლებლებს არა აქვთ დამუშავებული ინგლისური ენის ფაკულტეტებზე კონვერსიის სწავლების რაციონალური მეთოდიკა, სიტყვაწარმოებისათვის განკუთვნილ სამუშაოებში კონვერსია ან საერთოდ უგულებელყო_

Библиотека